

572 / 4
1054 / 4

ՀԱՅԿԵՆՆԵՐԻ
ՏՅԵՆՈՒԹՅՈՒՆ



ԸՆԴՆ

«Ինչպե՞ս ճանաչել
ուշիկը, ուրիշ ձիակը,
և ի՞նչ, խնայողը, կեղծակա
կանկարը՝ գանձերդ!»

№ 4 ԵՐԵՎԱՆԻ ՄԱՍ ԳՐԱԳԻՏԱԿԱՆ ԻՆՏԵՐՆԱԿԱՆ ԳՐԱԳԻՏՈՒՄԸ 1954



ღენინი

გაზაფხულის შუაგული,
ეს აზრილის ოცდაორი
სინარულის სათავეა
და დიდებით მოსაგონი.
ეს აზრილის ოცდაორი
უვალივით შემკობილა,
ჩვენი დიდი მასწავლებლის
დაბადების დღე უოფილა!
იგი შუდამ დიდ-ზატარას
დაზრუნაუდა მშობელივით,
გაუკაფა სიკეთისკენ
გზა დიდებით მოაყენილი.
მის ღვაწლსა და ნაამბედარს
კეთილს საქმეს, მალაღ აზრებს,—
უფიცავთ, უვლან ჩვენთაგანი
სწავლით, შრომით დააფასებს.
სინარულით ფრთაშესხმულებს
სიუვარულს რა შეგვიწველებს,
მისი სასე დროშად კვიძლებს
ჩვენ, ზატარა ღენინელებს.

მავალა მკაველიძე



ლენინი ბავშვობაში





ნახატები ქ მახარაძისა

როლიონ ჟორჯია

შ ე მ ც ვ ღ ე ღ ი

სამოქალაქო ომის გმირი ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე შჩორსი დივიზიის მეთაური იყო. ვ. ი. ლენინის პირადი დაგვლებით შჩორსი იყო უკრაინაში წითელი არმიის ერთ-ერთი დამაარსებელი.

შჩორსს ი. ბ. სტალინმა უწოდა „უკრაინელი ჩაპაევი“. ნ. შჩორსი დაიღუპა თეთრ-გვარდიელებთან ბრძოლაში 1919 წლის 30 აგვისტოს.

ერთხელ შჩორსი საგუშაგოებს ამოწმებდა. ისეთი ქარბუქი იყო, რომ ძლივს მიიკვლევდა გზას. ერთ-ერთ საგუშაგოზე შჩორსი გაკვირვებით შედგა. გუშაგი არსად ჩანდა. მხოლოდ თოვლის ზეინები აზიდულიყვნენ აქა-იქ.

— როდის ყოფილა, რომ ჩვენს წითელარმიელს საგუშაგო მიეტოვებინოს? — უთხრა შჩორსმა თავის ადიუტანტს ტუროკს და საგუშაგოს ირგვლივ შემოუარა. ცივი ქარი თოვლის კორიანტელს

აყენებდა, გაყინული თოვლი ნემსებივით ჩხვლელტა სახეს.

— ვინ იღდა ამ საგუშაგოზე? — ჰკითხა შჩორსმა ტუროკს.

— მსროლელი პროკოპენკო, — მოახსენა ტუროკმა შჩორსს, — ჩვენი პატარა მედლოლის პროკოპკას მამა.

— პროკოპენკო? — გაიკვირვა შჩორსმა. — ვიცნობ, ვიცნობ. ჩინებული მსროლელი და წესრიგის მოყვარულია. ის არ მიატოვებდა საგუშაგოს! აქ რაღაც სხვა ამბავია.

შორსმა აღვირი ტუროკს გადასცა და თვითონ ფათური დაიწყო თოვლის ზეინებში. უცბად ხელი ცივ ხიშტს მოედო.

— ვიპოვე! — წამოიძახა შორსმა.

პროკოპენკო გაყინულიყო და თოვლის დაფარა. შორსმა ამოთხარა თოვლი, გაყინული გუშავი ცხენზე დაასვენა და დაბრუნდა პოლკში. პროკოპენკო შტაბში დაასვენეს. თეთან მისი შაშხანა მიაყუდეს.

პროკოპენკოს გაყინვის ამბავი მთელმა პოლკმა გაიგო. მიდიოდნენ მებრძოლები და საყვარელ ამხანაგს ეთხოვებოდნენ. ბევრი მათგანი ტიროდა.

უცებ მებრძოლთა რიგები გვარღვია პატარა ბიჭმა. იგი დაემხო მიცვალვების მკერდზე და შეჰყვირა:

— მამა! ჩემო მამა!

შორის წარბშეკრული იდგა, ხელში კმუჭინდა ქუდს და თვალცრემლიანი უყურებდა გაყინული მამის მკერდზე აჭვითინებულ შვილს. მის თვალღებში დღემდე ცრემლი არავის უნახავს.

ბოლოს ააყენა პატარა ბიჭი, თავზე აღერსით გადაუსვა ხელი და უთხრა:

— ნუ ტირი, პროკოპკა, მამაშენმა თავისი ვალი მოიხადა! ჩვენ კი ვეცადოთ, ჩვენი საქმე კარგად დავამთავროთ.

პროკოპკამ ხელის ზურგით ცრემლები მოიწმინდა, გამოეჭიმა შორსს და სთხოვა:

— ამხანაგო მეთაურო, ნება მომეცი, მამაჩემის შაშხანა ავიღო და მის მაგივრად დავდგე, მეც ვიცი სროლა.

— თანახმა ვარ! აიღე შაშხანა! — უპასუხა შორსმა.

პროკოპკამ შაშხანა ჩაბლუჯა და სმენაზე დადგა.

— განსოვდეს, პატარა წითელარმიელო, — უთხრა მას შორსმა, — შენ მამაშენის შემცვლელი ხარ და დამცველი საბჭოთა უკრაინისა!

— არის! ვიყო შემცვლელი მამაჩემისა და დამცველი საბჭოთა უკრაინისა! — მამაცად უპასუხა პატარა წითელარმიელმა შორსს.



622



პლატონ პორონიძე

ნახატი გ. ჩიჩინაშვილისა

ამას ჰქვია მოსკოვი

უსინათლო გოგონა
შორეული ტუვიდან
მოჭრის რკინის არწივით,
მოსკოვისკენ იჩქარის;
სასოებით, იმედით,
ტკბილად უძგერს გული და
ჯერ არ იცის პაწიამ,
რასა ჰქვია ცისკარი.

მისი დიდი თვალები
შიშით მოხამხამეა,
ბავშვის თვალში ღამეა—
არაფერი ახარებს.
და ჰა, ნათელ ბინაში,
პროფესორის წინაშე
უსინათლო გოგონა
თრთის და შიშით კანკალებს!

შემდეგ სძინავს გოგონას,
უსინათლო გოგონას,
მაგრამ ჰღვიძავს დოსტაქარს:
შემდეგ დილა თენდება,
თვალს გაახელს გოგონა —
უსინათლო გოგონა,
და უეცრად, შემკრთალი,
სარკმელს მოაჩერდება...

— რაო, ხედავ, გოგონავ? —
ხედავს, ხედავს თვალნათლივ,
და ცრემლი რომ მოგორავს,
სიხარულის ცრემლია!
— ძია, ამას რა ჰქვია? —
— ამას ჰქვია მოსკოვი,
ის კი, ჩემო პატარავ,
კრემლია!

თავისუფალი თარგმანი გუაჩან ლუბანიძისა



ახალი ჩინეთი.
საბავშვო გულში

და-ძმა

გაიზარდა ჩინო ბიჭი,
სწავლობს, უკვე რვა წლის არის,
წიგნებიც აქვს, რვეულებიც,
ფანქრებიც და კალმისტარიც.
მის დაიკოს არც ჩანთა აქვს,
არც წიგნები, არც რვეული,
დაღის, დაჰყავს თოჯინები
ქრელ-ჭრულებში გახვეული.
მაგრამ აღარც თავი ახსოვს,
არც აკვანი, აღარც „შვილი“



თუ ძმის წიგნი დაინახა,
ან რვეული გადაშლილი;
ზედ ქორივით დაეცემა,
მოიმარჯვებს ფანქარს უცებ,
და ფურცლებზე ჩხაპნის, ჩხაპნის
ათასხაირ აბლაბუღებს.
ამ ღროს ძმამ თუ შემოუსწრო,
მაშინ წერას ვინ დაგიღვებს!
წინ

და გარბის დამნაშავე,
ძმა ყვირილით უკან მისდევს;
მაგრამ დედა ძმის წინაშე
დაუდგება დას თავდებალ,
ახალ რვეულს მისცემს ძმას და
ჩხუბიც ამით გათავდება.

თოლია და დედოფალა

ეს რამდენი შვილი ჰყავს
ამ გოგონა თოლიას!
ზოგიც ცეროდენაა,
ზოგიც მისი ტოლია.
მხოლოდ ერთი მათგანი
სხვაზე უფრო დიდია,
თოლიაზეც დიდი ჩანს,
როცა ერთად მიდიან.
განა მართლა მიდიან,
ძლივს მიათრევს წვალეებით,
როცა მკლავზე გადწვენს,
ეხუჭება თვალეები.
ვერც მოწყენას შებატყობ,
ვერც სიხარულს მის სახეს,
როგორც წამოაყენებს,
„დედას“ წამოიძახებს.
თუ კი „დედა“ ისწავლა,
რატომ ფეხზეც არ დაღის,
„დედამ“ როგორ ათრიოს,
როდემდის და სადამდის?!
ზის თოლია დადლილი,
დიღხანს, დიღხანს ატარა...
აბა, სად გაგონილა
დედა შვილზე პატარა?!



ბ. სპინი

სასწავლო წლის დაწყებას სულ ცოტა და აკლდა. ეზოში შუშანა, ვარდო და ცოციკო ერთმანეთს უამბობდნენ, თუ როგორ გამოეწყობოდნენ სკოლაში წასასვლელად.

ვარდომ თქვა: — დედამ ისეთი ლამაზი კაბა შემიკერა, რომ ვერც კი ავიწერთ!

— მეც შემიკერა დედამ კაბა, — თქვა ცოციკომ, — თეთრი აბრეშუმისა, გადმოსაფენი საყვლოთი და ქაბრით.

შუშანა კი ჩუმად იყო. მისთვის დედას არ უთქვამს, როგორ გამოაწყობა სკოლაში წასასვლელად. გაიქცა სახლში და კინაღამ ატირდა.

დედამ მიუალერსა და უთხრა:

— ვინ გითხრა, რომ ახალ კაბას არ შეგიკერა? ჩემო გოგონა, ისეთ ლამაზ კაბას ჩაგაცმევ, რომ თავით ფეხამდე დაგამშვენებს!

დედამ დაპირება შეუსრულა, მეორე დღესვე კარადიდან ფერადი აბრეშუმი გამოიღო, მაკრატლით დაჭრა და თქვა: — ესეც შენი* კაბა! მშვიდობაში, ჩემო გოგონა!

შუშანას გაეხარა, გაიქცა ეზოში და ამხანაგებს უთხრა:

— დედა ისეთ კაბას მიკერავს, რომ თავით ფეხამდე დამამშვენებს.

მეორე დღეს, კაბა უკვე მზად რომ იყო, მამამ შუშანას წითელი ფეხსაცმელები მოუტანა.

— შეიძლება ჩავიცვა? — ჰკითხა დედას შუშანამ. დედამ ნება დართო. შუ-



ნახატები ზ. ლეჟანასი

შანამ ახალი კაბა და ახალი ფეხსაცმელები ჩაიცვა და ეზოში გაიქცა. მალე აქოშინებული მოვარდა სახლში და თქვა:

— დედიკო, რომ იცოდე, როგორ მოეწონათ ჩემი კაბა ამხანაგებს! დეიდა არაქსიმ მითხრა: „მშვენიერი გოგონა ხარო!..“

— იცი, როდის იქნები მშვენიერი გოგონა? — შეაწყვეტინა მამამ. — მაშინ, როდესაც ამხანაგებს შორის პირველ რიგში იქნები.

შუშანას ძალიან უყვარდა მამა და სიტყვას არასოდეს შეუბრუნებდა.

— კარგი, მამიკო, ისე მოვიქცევი, როგორც შენ გინდა.

დაძინებისას შუშანა ლოგინში ჩაწვა და ფიქრობდა, თუ როგორ მოქცეულიყო, რომ პირველ რიგებში ყოფილიყო.

მეორე დღეს ბავშვები სკოლაში პირველად წავიდნენ.

შუშანა კლასში დაჯდა, და იცით
სად?! — პირველ მერხზე.

მასწავლებელმა აღერსიანად ჰკითხა:

— რა გქვია, პატარავ?

— შუშანა.

— შუშანა, გადაჯექი მესამე მერხზე,
აი, ის პატარა გოგონა კი წინ გადმოჯ-
დეს.

შუშანამ თავი ჩაღუნა, დაღონებული
ადგა და მესამე რიგში გადაჯდა. ამ გა-
კვეთილზე, როგორც იქნა, შეიკავა თავი
ტირილისაგან. მეორე გაკვეთილზე კი
თანდათან დაღონდა, თვალები ცრემ-
ლით აევსო და მწარედ აქვითინდა.

მთელმა კლასმა მისკენ მიიხედა. მას-
წავლებელმა ჰკითხა:

— რა დაგემართა, შუშანა?

შუშანა უფრო ატირდა. მასწავლებე-
ლი მოეხვია და უთხრა:

— შუშანა, გენაცვალე, სკოლაში ყო-
ველ შეკითხვაზე სიმართლე უნდა უპა-
სუხო; მითხარი, ვინ გაწყენინა?

— მამამ მითხრა, რომ სწავლაში პირ-
ველ რიგში უნდა ვიყო, თქვენ კი მესა-
მე რიგში დაშვებით... — სლუკუნით მიუ-
გო შუშანამ.

— ჰოო, აი, თურმე რა ყოფილა! —
თქვა მასწავლებელმა. — შუშანა, მამის
ნათქვამი სწორად ვერ გაგიგია. მას ეს
რიგი კი არა ჰქონდა მხედველობაში;
სკოლაში შეიძლება უკანასკნელ რიგში
იჯდე; მაგრამ პირველ მოწაფედ ითვლე-
ბოდე. ვინც ყველა საგანში ხუთს მი-
იღებს, ის იქნება პირველ რიგში, გესმის?

შუშანა მიხედა და თავისი ცრემლე-
ბისა შერცხვა.

სალამოს ამის შესახებ მამას რომ უამ-
ბო, მამამ უთხრა:

— ხედავ, შუშანა, რას ნიშნავს სკოლა?
დღეს შენ უკვე ზოგი რამ გისწავლია!

თარგმანი თინა იზაშვილისა



ქალაქის ტრამვაი

იტალიელი საბავშვო პოეტი ჯანი როდარი დემოკრატიულ მწერლობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია. ჯანი როდარის ლექსები ასახავს იტალიელი მშრომელების ბავშვთა ცხოვრებას.

მამლის ყუყლიყოთი
არ მიფრთხება ძილი,
ტრამვაის სიგნალი
მე მალდიმებს დილით.
პირველ ტრამვაების
სასიგნალო ხმაზე
ლურჯი ხალათებით
მუშებს ეხედავ ხაზზე.
შემდეგ ტრამვაიში
სურათს ვამჩნევ ასეთს:
მოხელენი სხედან,
კითხულობენ გაზეთს.
მესამე ტრამვაი
არის მოწაფეთა,
ქრიაბული ისმის,
ხმაურობენ მეტად.
ზოგი იმეორებს
ზმნის სართებს და პირებს,
ზოგი გამრავლების
ცხრილებს იხეპირებს.

თარგმანი შრიგოლ ხახხლაძისა





ნინო გუზარაშვილი

ნახატები მ. თოთობაძისა

ჭიღაობა

ეზოში ბავშვები შეიკრიბნენ. ზოგი დამალობანას ამჯობინებდა, ზოგსაც ბურთობა სურდა. ალიკო კი გაიძახოდა:

— მე ჭიღაობა მინდა, მაგრამ ჩემი ტოლი ბიჭი აქ არავინ არ არის.

— ალიკო, გვებრუნება ჭიღაობა?— შეეკითხნენ აქეთ-იქიდან.

— როგორ არა, იყოს ვინმე, ისე დავცემდი, რომ...

— აბა, გამოდი, დამეჭიდე, ვნახოთ, რა ბიჭი ხარ!—უთხრა ალიკოს გელამ.

ყველას გაუკვირდა, გელა როგორ უნდა ეჭიდაოს, ის ხომ ალიკოზე უმცროსიაო.

— შენ უარესი მკვებარა ყოფილხარ, ჭიღაობისა რა გაგეგება? მოდი და შენისთანას ნუ გააბრტყელებენ!—დაუძახეს აქეთ-იქიდან გელას.

— დამეჭიდე, ალიკო, დამეჭიდე და ქუსა ასწავლე.— გაისმა ზოგიერთის ხმა.

— ჩემი ტოლი რომ იყოს, დამეჭიდებოდი. აბა, გელას რა შეუძლია!—იკვებნიდა ალიკო.

— ცოტა ხანს მომიცადე. წავალ, ფიზ-

კულტურის წრეში რომ ტანსაცმელს ვატარებ, იმას ჩავიცვამ და მერე ვიჭიღაოთ; ვნახოთ, ვინ აჯობებს!—თქვა გელამ და სახლისაკენ გაიქცა.

— ეგ ისეთი ეშმაკია, რომ მგონია მართლა გაჯობოს!—შეყოყმანდნენ ბავშვები.

— ჯერ გათენებულიც არ არის და გელა უკვე დილის ვარჯიშს ატარებს ხოლმე, ტანს სველი ტილოთი იხვებს.— აცნობა ამხანაგებს გელას მეზობელმა ილომ.

— ლაფაშვით რომ გავაკრავ მიწაზე თქვენს წინ, მაშინაც დამეტოლოს!—დაიჩემა ალიკომ.

მალე მისურით და მოკლე შარვლით გამოწყობილმა გელამ მოიბრინა, ალიკოს წინ შეჩერდა და უთხრა:

— აბა, დავიწყოთ!

— დავიწყოთ!—დაეთანხმა ალიკო.

ბავშვებმა გელას და ალიკოს წრე შემოართყეს და წაიძღვრეს: „ჭიღაობას რა უნდა, ფეხის გამოკვრა უნდა“.

ალიკომ ვაჟაკურად ჩამოართვა ხელი გელას. შემდეგ მოქიდავევებმა მაყურებელთა სიმღერაზე ფეხები შეათამაშეს, ხელი ხელს დაჰკრეს და დაეკიდნენ ერთმანეთს.

უფრო ხმაძალდა გაისმა ბავშვების სიმღერა.

ბიჭები გატაცებით ქილაობდნენ. გელა ქვეშ მოექცა.

— ასე უნდა შენისთანას, — იცინოდნენ გელაზე ბავშვები. — კიდევ დაიკეხნი ქილაობა ვიციო?

ყველა სულმოუთქმელად ელოდა ქილაობის დასრულებას. მათ სჯეროდათ, რომ გელა დამარცხდებოდა. შიგადაშიგ ჩურჩულებდნენ: ალიკო ორი წლით დიდია გელაზე, გელამ როგორ გაბედა უფროსთან ქილაობაო.

— რა გეგონა, გელა, ალიკოს აჯობებდი! — დაიძახა ვილაცამ, მაგრამ უცებ ალიკოს მკლავებიდან თავი გაითავისუფლა გელამ. მაგრად მოსჭიდა წელზე ხელი ალიკოს, წამოსდო სარმა და მიწაზე დაანარცხა. ამას არ მოელოდნენ ბავშვები. მათი ყიჟინა მთელს უბანს მოედო.

— გელამ როგორ გაჯობა?! — შესძახოდნენ ალიკოს აქეთ-იქიდან. ალიკომ შუბლშეკრულმა გადახედა ყველას და ჩიბუტბუტა:

— მომილიტინა და ამიტომ წავიქეცი, თორემ ეგ როგორ მაჯობებდა?!

— შეიძლება მართლაც ასეა! — დასტურეს ბავშვებმა.

— დავისვენოთ და კიდევ ვიქილაოთ, — თქვა გელამ, — მიყურეთ ყველამ, თუ ასეთი რამ შემნიშნოთ, შეაჩერეთ ქილაობა და გამარჯვება ალიკოს დარჩეს!

— ასე იყოს, ასე! — წამოიძახეს ბიჭებმა.

ისევ დაიწყეს ქილაობა.

ბავშვები გულდასმით აღევნებდნენ თვალ-ყურს გელას, მაგრამ ისეთი რამ ვერ შენიშნეს, რაც წელან დააბრალებს. შორს ისმოდა მაყურებელი ბავშვების ყიჟინა. ყველას ასე ეგონა, რომ ალიკოს მეტი ღონე ჰქონდა და ახლა მწინე წაიქეცოდა გელა, მაგრამ ისევ გელამ გაიმარჯვა. მიწაზე გართხმული ალიკო კარგა ხანს ვერ ახერხებდა აღგომას.

— ხედავთ, თავისზე უფროსს როგორ მოერიო?! — აღტაცებით ამბობდნენ ბავშვები.

— კიდევ მოგილიტინა? შენ დილის ძილი ყველაფერს გირჩენია და ახლა კი იკადრებ დილის ვარჯიშს! — მიიძახეს აქეთ-იქიდან.

ალიკო, როგორც იქნა, წამოდგა და ბუზღუნით შინისაკენ გასწია, მაგრამ ბავშვებმა შეაჩერეს:

— ეგრე წასვლა რა წესია, ხელი ჩამოართვით ერთმანეთს, შერიგდით!

დარცხვენილი ალიკო ნელა შემობრუნდა და გელას ხელი გაუწოდა.





პირველი

ბიძის მოქმედი

ფეხები, თუ იქნის ძა გოგამ, ბოგობს
 განათა პეტრია შოი, დიდუას ხელით
 სათამაშო თოვი რომ ვაძლენია.
 — ახლა ახ წამიყვანა შინა სანა-
 დაროდ? ახლა რომ წაქნე თოვი! — ხე-
 ნობდა შოი და თოვი სან ერთ მხარზე
 მოიღებდა და სან შორსზე.
 — დიდდა, შინა ვარია მე შველს
 ვარ მოქმედი? შინაშიცა? ერთ სულ
 და აი, ახ ვადკობრიალდებს მედლით,
 დიდდა, მოქმედი! — კანის კაღისა დაწნა
 შოიმ დიდუას, ვერაღდებს მომსკერი,
 და რამდენჯერმე ვადკობრიალდი ია-
 ტარს.
 — აი, შველი, გულადი უნდა იყო,
 მაშ — წამიყვანა დიდდა!

ტრასანა შოი ახლა სარის წინ ვა-
 ნოქმია. ახლა შვეტილიდა, ახლა შვე-
 რიალდა. ვარძელ კიდევ შერწყნა მხარ-
 ზე თოვი და ერთში გაევიდა.
 ესან ერთ კუბურში მან თოვი მომ-
 ტრეცო ცოცხლსათამაშო სახლში, მედ-
 ლი, ხეჯერის დადენამ, თოვობა კუბურ-
 ლეშმა. ცოცხლსათამაშოთი ვაქმელა
 და თოვობს ეს არსებ სანდა.
 შოის გული სხობულით აფტრედა,
 სულით და გულით მოქმედა მარსზე სან-
 დარობა. ერთ ღუბან ტუფს წარმოიფარდა
 და დანქო ადვირიალდი.
 — შეე! ვადკობრიალდი დათენა.
 — შეე! — ვადკობრიალდი სანდა.
 შოიმ მოაიხია თუ არა „ნადირობა“,
 დიდუას და ადუღლის სეს შარის ვარშე-
 ლი კანეთი ხმამაყურა, ცოცხლსათამაშო.

ნადირობა



ახეცა? მოქმედი დიდუას და
 „ნადირობა“ კანდზე ას-
 ხა ზოგს ეფენი ვარობა.
 ზოგს — კიდევში და ზურგზე
 ვადკობრიალდი.
 შოიმ სახლში შველი და დიდუას-
 თან ტრასანოკ ვარ მომსკერი, რომ ზურგ-
 უკან ცოცხლსათამაშო წაიღო.
 — შე სასველო, ხელ მიეკეთე სეს
 სათამაშოებში!
 შოიმ აწინა ცოცხლსათამაშო და
 ახალე უქმელა.
 — ვარძელე და ვადკობრიალდი სახლში
 მომსკერს.
 — ვარძელ, დიდდა ვარძელ დიდდა სულ
 ვადკობრიალდი სეს სათამაშოებში! — ტრასანი
 მოაბო ცოცხლსათამაშო.

— რას ტარი? ასე უკან წაიღე! — ვად-
 კობრიალდი შოიმ კანდზე ამხელი სათამაშო-
 ბი ცოცხლსათამაშო.
 — რაღად მინდა, რაღად მინდა და-
 ხოცილებში? — ვადკობრიალდი შვეტიცო ცო-
 ცხლსათამაშო შოის.
 შოის უნდოდა ვარძელ, რომ რაღაც
 იფენი ეს სათამაშოები ცოცხლსათამაშო
 მარტამ ტრასზე იქნება. მაშინ რაღაც ფისი
 ექნებოდა ამის „ნადირობას“!

ბიძის მოქმედი

ბიჭებისა და გოგონების

შე უნდა გეცნოდეს ბიჭებისა და გოგონების.
 ხანობს ძალი სულ დიდდა
 არაფერს მოსდისა
 განსხვავდის სურსებებსა.
 პაწაწასა უკანდობი -
 ტრასე იფარად მოეფილოს.
 აფარ, ხევი სვეტილი
 ბიჭებთანა მოეფილოს!



შეხე, ბოგობს პაწაწასა —
 თოვი სახლში დიდუღდეს
 შევსებობით, ტრასებებს და
 იასობს თოვიღდეს.
 შევსებობით მის სხობებს
 ასე უნდა მომსდეს.
 პაწაწასა განსხვავდის
 შევსებობით მომსდეს!

ბიჭებისა და გოგონების

პირველი სახლის ამოცანა

არცა ვადკობრიალდი
 პეტრია მარტამ,
 შეც დიდუღდი
 სანაწევი სახლში.
 შოის ვარძელი
 დარობი მარტამ,
 ვიცოდი ხევი
 პეტრია დევი.

და თოვიც სანდა
 შევსებობით,
 თოვიც დარობის
 ტრასე მარტამ,
 შე ვარძელი,
 დევიც მარტამ ხმამაღლა
 და მარტამისებობს
 ევარს ვადკობრიალდი.

ახლა დიდი ვარ,
 ეხ, რა დიდი ვარ...
 დიდი სკოლაში
 მარტამ მოვიდარს!
 პარადე ტრასე,
 რაღად ტრასე
 დევის წიკობის
 სკოლის სკანდზე.



ჩვენი კუჩქალი

მამამ ჩანთით გაზაფხულზე
 მოიყვანა შინ ბაჭია,
 შინაური კურდღლის შვილი,
 კნუტის ტოლი, სულ პაწია.

ჯერ ცოცხალი არ მენახა
 არც ბაჭია, არც კურდღელი.
 მომეწონა, ავიტაცე,
 გადავუსვი ზურგზე ხელი.

უცებ შეხტა, ძირს დაეშვა,
 აივანზე გაირბინა.

დავიკირე და კიბის ქვეშ
 მიუჭინეთ მყუდრო ბინა.

ახლა უკვე დიდი არის,
 დახტის, ცელქობს ის ყელქრელი.

მოვლა მაინც კვლავ სჭირდება,
 კვლავ სჭირდება ჩვენი ხელი.

თუ კომბოსტო დილით დროზე
 არ მივართვით შე და დედაშ,
 ეს ნაცარა ნებიერი
 გაბუტული შემოგვხედავს.

შეგვეჩვია, შეგვეყვარდა,
 მურიკელაც კი არ უღრენს.
 ნეტავ, ასე ვინა ზრუნავს,
 ვინ პატრონობს მინდვრის კურდღლებს!

ან არ შიათ, ან არ სცივათ,
 რომ წვიმს,
 რომ თოვს,—სად დადიან!
 ჩვენსას მათი გადმოყვანა
 რა კარგია, რა მადლია.





მოკეთები.

იკლავია ლავლარინი

ნახატები ი. გვანაშვილისა

მზის სხივებმა გაათბო დედამიწა, ზღარბმა სორღდან თავი გამოჰყო, მობეზრდა ხანგრძლივი ძილი დედამიწაში და ქურქი შეიბერტყა. ამ დროს მის წინ მიწა შეინძრა და თხუნელას პატარა თავი გამოჩნდა. ზღარბმა უკან დაიწია, საბრძოლველად მოემზადა. თხუნელა ზევით ამოვიდა და ზღარბს მიესალმა:

— გამარჯობა, მეზობელო!
— უწყინარი თხუნელას დანახვა ზღარბს ვაეხარადა.

— მომილოცავს გახაფხული! — უთხრა თხუნელას, თათებით ცხვირპირი მოიწმინდა და წასასვლელად გაემზადა.

— მობრძანდი! — გზა დაუთმო თხუნელამ.

— შენც წამობრძანდი, ღელის პირას მინდა ჩავიდე, პირზე წყალი შევისხა.

ღელის პირას მისულმა ზღარბმა თხუნელას თათი გაუწოდა:

— ნელა, გეთაყვა, ქვას არ წამოედო.

წყლიდან ბაყაყი ამოხტა, მეგობრების წინ ტყაპანი მოაღინა. ეუცხოვა ყიყინას, ესენი ვინ არიან, აქ,



ჩემს სამფლობელოში რომ შემობრძანებულანო და გულმაგრად მიიძახა:

— ჰეი, თქვენ, აქ რას აკეთებთ!? ზღარბმა აღმაცერად გადახედა ყიყინას და თხუნელას მიუბრუნდა:

— წავიდეთ, მეგობარო.

— გეთაყვათ, ეს რა მოჩხუბარი ყოფილა! — გაიკვირვა თხუნელამ და გზას გაუდგნენ. ყიყინას გული დასწყდა, რომ მის ვაჟკაცურ ყვირილს ყურადღება არ მიაქცევს და ხტუნვით გაჰყვა უკან. ძლიერ უნდოდა გამოსაუბრებოდა:

— ბინისათვის აღვილს ხომ არ ეძებთ?!

— მერე, შენ რა გნებაეს? — შეუტია ზღარბმა.

— მშენიერი აღვილები ვიცი, არ გირჩევთ სხვაგან წახვიდეთ. აი, აქ შესანიშნავი ბოსტანია! — მიიპატიჟა ყიყინამ მეგობრები.

ბოსტანი ჩინებულად იყო მოვლილი, ნორჩი მიჩურჩინელების ნაკვეთი ვეებერთელა სკოლის შენობის წინ იყო გადაჭიმული. გვერდით აყვავებული ბაღი იწყებოდა.

— მართლაც კარგი აღვილია,

0299



მეგობარო! — მიმართა თხუნელამ ზღარბს.

— ვითომ უკეთეს ადგილს ვერ ვიშოვნით? — შეუყოყმანდა ზღარბი.

— ხედავთ, რამდენი ხილია გარშემო? დამწიფდება და მიირთვით, რამდენიც გენებოთ. — არ ისვენებდა ყოყინა.

გავიდა ხანი. ერთ დღეს ზღარბი და ყოყინა სანადიროდ გამოვიდნენ. ყოყინამ ლოკოკინა დაინახა და დასაქვრად გამოიუღდა.

— რა მსუქან ლუკმას წააწყდი! — ემაყოფილმა ყოყინამ გულზე თათი სიამოვნებით დაიკრა. — მართლა, თხუნელას რა დაემართა? აღარსადა ჩანს!

— აი, იმ კვალთან დასახლდა.

— უშნო ადგილი აურჩევია. ჩემს მეზობლად, გუბეში კარგ ადგილს ვუჩვენებდი.

— თხუნელამ და მისმა მეუღლემ აგერ, იქ მშვენიერი სასახლე აიშენეს, იმთ მიწაში უყვართ ცხოვრება. — მიუგო ზღარბმა.

ყოყინას ეწყინა თხუნელას ჩამოშორება, როგორ მოსწონდა მისი ნაზი ქათიბი! გუნება შეეცვალა, ხელობრი ია-იას ფოთლებზე გაიწმინდა, ქვაზე წამოსკუბდა. ზღარბმა თავის მოჰკრა თვალი და დასაქვრად ჩაუსაფრდა.

— მოდი, მოდი, რა გაჩვენო!

ნო! — გაისმა უცბად ყმაწვილების ხმა.

ამ ხმამ შეაკრთო ზღარბი, სწრაფად შეძვრა ქურქში, დამრგვალდა და კვლებს შუა გაგორდა, ამ ხმამ ყოყინაც შეაკრთო, ქვიდან გადახტა და ვილაცას ფეხებში დაეცა.

— ეს რაღა არის?! — გაისმა ხმა-მაღალი შეძახილი.

— ხა, ხა, ხა! გომბეშომ შეგაშინა?

არ უყვარდა ყოყინას, როდესაც გომბეშოს ეძახდნენ. რამდენი უსიამოვნება შეხვდა დღეს! ისკუბა ყოყინამ და გუბეში მოადინა ტყაპანი. ბოსტანში კვლავ გაისმოდა ახალგაზრდა მებოსტნეების ხმები:

— გურამ, ქვა არ დაჰკრა, ეგ ჩვენი ბალის მოკირნახულეა!


— არა, ქვას როგორ დავატყამ, თავი მინდა გამოვაყოფინო.

— არ გამოყოფს, ეშინია.

— რამდენი მოკეთებები გაუჩნდნენ ჩვენს ბალს: ზღარბი, თხუნელა, გომბეშო, — მუსრს გაავლებენ მისის ხოქოს, ლოკოკინას, მახრას, თავკებს. ნორჩმა მიჩურინელებმა მფარველობა უნდა გაუწიონ ბოსტნის მცველებსაც. — გაისმა უფროსის ხმა.

ზღარბმა თავი გამოჰყო, მიხვდა აღარავინ მითვალთვალბსო და ბუჩქებში მიიმალა.





ნახატი ი. შაბუაშვილისა

რატომ ყივის მამალი ღამეში სამჯერ

(მონგოლური ზღაპარი)

ძველად თურმე მამალს ყველაზე ღამეში ბოლო ჰქონდა: ლურჯი, წითელ-ყვითლად დაწინწკლული. ფარშავანგს კი—ჰატარა ბოლო, ბოლო კი არა, რალაც გაუფებრობა იყო.

შეშურდა ფარშავანგს მამლის ბოლო მივიდა და სთხოვა:

— მამალო, მათხოვე შენი ბოლო, ქორწილში ვარ დაბატოვებული, მიხდა შენსავეთ თავმოქმედონე ვიყო.

— რას ამბობ, — უთხრა მამალმა, — განა ბოლოს თხოვება შეიძლება?

— მერე რა მოხდება? ისევ დავიბრუნებ!

— როდის დამიბრუნებ?

— როგორც კი დავბრუნდები ქორწილიდან.

— მაინც როდის?

— ქორწილს გააჩნია: საღამო ხანს ან შუალამისას, შეიძლება დილაშემდეც ვიქვიფეთ.

— კარგი, მხოლოდ იცოდე, მეტი აღარ დამიგვიანო, თორემ დილით ქათმები სასაცილოდ ამიგდებენ.

მამალმა ათხოვა თავისი ბოლო. ფარშავანგი გამოიბრანქა და გაუდგა გზას.

ზის ჩვენი მამალი უბოლოოდ და უცდის, როდის დაბრუნდება ფარშავანგი ქორწილიდან.

მოსაღამოვდა, მზე ჩავიდა, ფარშავანგი არსად ჩანს.

მამალი ღობეზე ახტა და ერთი-ორჯერ დაიყვილა. ფარშავანგი მაინც არ მოდის. — „ალბათ ძალიან გაუტყბა ქორწილი“. — გაიფიქრა მამალმა. აგერ დედლები შეფრინდნენ ხეზე დასაძინებლად, მამალსაც თვლემა მოერია. მაგრამ ბოლო მაინც არ ავიწყდება. აგერ უკვე შუალამე გადავიდა, ბნელა—თვალში თითს ვერ მიიტანა. „ეჰ. ფიქრობს მამალი, — ვაი, თუ ქორწილიდან დაბრუნებულ ფარშავანგს გზა დაეხანა!“ გამოფხიზლდა და მორთო ყვილი. ბევრი იყვილა თუ ცოტა, ფარშავანგი მაინც არ გამოჩნდა.

ისევ ჩათვლიმა მამალმა, მაგრამ რა დააძინებს. ენანება თავისი ბოლო. გათენდა თუ არა, წამოვარდა დაფეთებული. დაბრუნდა თუ არა ფარშავანგი? და ისევ მორთო ყვილი:

— ყი-ყლი-ყოო, ფარშავანგი! სადა ხარ?!

საქმე არა გაქვს?! თურმე ფარშავანგმა იმ ღამესვე ტყვეს შეაფარა თავი და იქ დასახლდა. წადი ახლა და ეძებე!

მას შემდეგ ბევრმა წყალობა ჩაიარა. მამალს ახალი ბოლო გაეზარდა, მაგრამ მაინც ვერ დამშვიდა. ძველი ბოლო ენანება! მის შემდეგ ჰყივის და ჰყივის ჩვენი მამალი ყოველ ღამე სამჯერ, ვინ იცის, იქნებ ფარშავანგმა ის ღამეში ბოლო დამიბრუნოსო.

თარგმანი შ. შაბუაშვილისა



33/43

7
ГССОВУВНИЧ В.КА
1 12 1977

1.16.24
საქართველოს
სამედიცინო



ეს არის თოჯინა „გურაში“, ეს კი—თოჯინა „მსუქალა“.
მათი ნახვებზე შეგიძლიათ თბილისის სათამაშოების მუზეუმში.

პ ა ს უ ხ ე ბ ი

„დილა“ № 2-ში მოთავსებული გამოცანებისა: 1. ბოქლომი 2. ნაყინი, 3. ბურთი, 4. ენძელა.

უფის მხატვრობა ენუთენის ალ. გავალაშვილს	გამომცემის ოცდამეშვიდე წელი	ფასი 2 მან.
რედაქტორი იოსებ ნინეშვილი. სარედაქციო კოლეგია: გრ. აბაშიძე, ეკ. ბურჯანაძე, ი. გრიშაშვილი, კ. გოგიაშვილი, მაყვალა მრეველიშვილი (რედაქტორის მოადგილე), რ. მარგანი, ი. სხარულაძე, ნ. უნაქოშვილი შ. ცხადაძე (სამხატვრო რედაქტორი)		

Д И Л А — ежемесный детский журнал, ЦК ЛКСМ ГРУЗИИ № 4, Апрель 1964 г. Тбилиси, Ленинка 14.
საბლიტვაში. რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის 14. მ სართ. ბუფ. 8-87-88
გამომც. ზეკვ. № 88 სტამბის ზეკვ. № 272/848 ტირაჟი 10.000 უკ 02905